ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს აღიმართება XIX ოლიმპიური თამაშების ალამი




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 201 (3685)

12 1968 წ. ოქტომბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს მექსიკის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს XIX ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებს

გულითადად მივესალმები XIX საზაფხულო ოლიმპიური ასპარეზობის ორგანიზატორებსა და ყველა მონაწილეს—ხუთი კონტინენტის თვალსაჩინო სპორტსმენებს.

სსრ კავშირის მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს მიაჩნიათ, რომ XIX ოლიმპიური ასპარეზობა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პლანეტის ახალგაზრდა თაობის ცხოვრებაში. სპორტსმენთა მსოფლიო ფორუმი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის მეგობრობის, თანამშრომლობისა და შეკავშირების განმტკიცებას მშვიდობისთვის, პროგრესისა და დემოკრატიისთვის.

ამისთვის ძალღონეს ნუ დაიშურებთ, ძვირფასო მეგობრებო, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება სპორტი გახდეს თვითეული ახალგაზრდის კუთვნილება, ხოლო თქვენი ძალღონე, ენერგია და ნიჭი ფართო ასპარეზს მიიღებს შემოქმედებისთვის. ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ, როცა ხალხთა თავისუფლება და ბედნიერება მოითხოვს ყველა პატიოსანი ადამიანისგან მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მსოფლიოს ბედს, კიდევ უფრო დაირაზმონ და შეკავშირდნენ რეაქციის, ომების, სილატაკისა და ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ოლიმპიური ასპარეზობის დევიზი — „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად!" — ნათლად გამოხატავს კაცობრიობის მუდმივ მისწრაფებას პროგრესისადმი. უსაზღვროა ადამიანის სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობანი. ამას მოწმობენ მეცნიერებისა და ტექნიკის უზარმაზარი მიღწევანი, ამას აგრეთვე ცხადყოფენ ახალი შესანიშნავი სპორტული რეკორდები.

საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურის განვითარებას და ყოველნაირად უწყობს ხელს საბჭოთა ადამიანებს და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას, დააკმაყოფილონ თავიანთი მისწრაფება სპორტისადმი. ჩვენი მიზანია ყოველი ღონე ვიხმაროთ ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისთვის.

დიდად ვაფასებთ საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობას, რომლის მეცადინეობით სტუმართმოყვარე მეხიკოში შეიქმნა პირობები ოლიმპიური შეჯიბრებების მოსაწყობად, და ჯეროვნად ვაფასებთ მექსიკის წვლილს მსოფლიო სპორტული მოძრაობის განვითარებაში.

დაე, ოლიმპიურმა ასპარეზობამ ხელი შეუწყოს ხალხთა ურთიერთგაგების, მეგობრობისა და მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას!

ვუსურვებ თვითეულ ოლიმპიელს განიცადოს ახალი რეკორდებისა და პირადი სპორტული მიღწევების სიხარული.

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.



ნახ. გ. იაშვილისა.

## მოცურავეთა რეკეტიცია

მეხიკო, 10 ოქტომბერი. 10 სახელმწიფოს მოცურავეთა წინაოლიმპიური შეჯიბრების პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა გაცურვათა უმეტესობა მოიგეს. მართალია, მონაწილეთა შორის არ იყვნენ ამერიკელები, რომელთაც ოლიმპიური თამაშების ფავორიტებად სახავენ.

თითქმის ყველა შეჯიბრება 100-მეტრიან დისტანციაზე წარმოებდა. თავისუფალი სტილით წინასწარ გაცურვაში ურიგო შედეგს როდი მიაღწია მოსკოველმა ლ. ილიჩოვმა—54,4 წამი. ერთნაირი დროით (55,0) მას ფინიშზე მიჰყვნენ ხაბაროვსკელი გ. კულიკოვი და ესპანელი ხ. ჩიკოი. ამავე სტილით მეორე წინასწარ გაცურვაში უძლიერესი აღმოჩნდა სსრ კავშირის ჩემპიონი გულაღმა ცურვაში ვ. მაზანოვი (მოსკოვი) — 55,3. ფრუნზელი დებიუტანტის ა. ანარბაევის დროა 55,6.

ბატერფლაით ცურვაში I-II ადგილებზე გავიდნენ ლვოველი ვ. ნემშილოვი (59,3) და ასტრახანელი ი. სუზდალცევი (59,6).

გულაღმა ცურვაში ყველას აჯობა საბჭოთა დელეგაციის ყველაზე ახალგაზრდა ჭაბუკმა, 16 წლის ლ. დობროსკოკინმა (ვოლჟსკი) — 1.02.9.

ტრადიციულად გამოიჩინეს თავი ბრასისტებმა, რომელთა შორის ბადალი არ ჰყავდა სმოლენსკელ ი. მორჩუკოვს — 1.08.5. II ადგილზეა მოსკოველი ნ. პანკინი—1.08,7. ქალთა შორის ერთნაირი დროით (1.16.8) საუკეთესონი იყვნენ მოსკოველი გ. პროზუმენშჩიკოვა და იუგოსლაველი ჯ. ბიედოვა.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვეს პერმელმა ლ. ზახაროვამ (5.38,6) და მოსკოველმა ა. დუნაევმა (5.02,5).

## საბჭოთა დელეგაციის მეთაურის პრეს-კონფერენცია

მეხიკო, 10 ოქტომბერი. XIX ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ს. პავლოვის პრეს-კონფერენციამ, რომელიც დღეს დილით გაიმართა. პავლოვმა დამსწრეთ აცნობა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. კოსიგინმა მისალმება გამოუგზავნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტსა და შეჯიბრების ყველა მონაწილეს. მისალმება უკვე გადაეცათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ე. ბრენდეჯს და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტს პ. რ. ვასკესს.

ბოლოს პავლოვმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

## დამაგულობა არ ცხრება

აშხაბადი, 11 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის V ტურში ნ. ალექსანდრია შეხვდა საერთაშორისო ოსტატ ი. გურფინკელს (ვოლგოგრადი). ბრძოლა მწვავედ მიმდინარეობდა. იყო მომენტი, როცა ვეტერან მოჭადრაკეს შეეძლო დადგომოდა მოგების გზას, მაგრამ მან ეს ვერ შეამჩნია, შემდეგ კი პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში. დაუმთავრებელი დარჩა, აგრეთვე, ა. ჩაიკოვსკაია — თ. ზელოვას (ფსკოვი) პარტია. მ. სანაძე დამარცხდა კ. სკეგინასთან (მოსკოვის ოლქი).

ლიდერებმა კვლავ წარმატებით ითამაშეს — რ. ესტერკინამ (ლენინგრადი) მოუგო კ. ზვორიკინას (მინსკი), ხოლო რ. ბილუნოვამ (მოსკოვის ოლქი) — თ. გოლოვეის (მინსკი). ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) ყაიმზე შეუთანხმდა ნ. კონოპლიოვას (მოსკოვი).

უპირატესობის რეალიზების მაღალი ტექნიკა გამოავლინა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, 66 წლის ლ. რუდენკომ ახალგაზრდა მ. შულთან (ლვოვი) და გაიმარჯვა. ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი) მოუგო მ. რანიკუს (ტალინი). სხვა პარტიები არ დამთავრებულა.




VI ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი მოჭადრაკეები ალექსანდრია და ჩაიკოვსკაია. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო ალექსანდრიას მცირე უპირატესობით. სანაძემ მოუგო რუდენკოს, რომელიც დაიბნა ცაიტნოტში.

ალმავლობით იბრძოლა რანიკუმ გურფინკელთან შეხვედრაში. პარტიის ფინალში ესტონელმა ოსტატმა ფიგურის ლამაზი შეწირვით მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა.

ზედიზედ მეხუთე პარტია წააგო ლ. სტარჩენკომ (ალმა-ათა), ამჯერად ნ. რუსინკევიჩთან (დონეცკი).

ყაიმით დასრულდა ბორისენკო — ო. კაცკოვასა (მოსკოვი) და სკეგინა — კონოპლიოვას შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

## ახალი ამბები

● ვენა, 10 ოქტომბერი. ავსტრიის ტრასაზე გაიმართა მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო, XIV ეტაპი 250 კბ სმ-ის მოცულობის მანქანებით მოასპარეზეთათვის. ფინიშთან პირველი იყო ბელგიელი ჟ. რობერი, რომელმაც სამი წლის შემდეგ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიადა სტარტზე გავიდა

MEXICO 68

Ეს შედარება შეიძლება სავსებით სწორი არც იყოს, მაგრამ ჩვენ XIX ოლიმპიადა გვეჩვენება მორბენლად, რომელმაც გაიგონა ბრძანება: „ყურადღება!“ და უკვე მზადაა ადგილს მოსწყდეს. როგორც კი მეხიკოს მიწაზე ფეხი დავდგით, მყისვე გადმოგვედო საერთაშორისო სპორტული ფორუმის დაძაბული, რამდენადმე აფორიაქებული განწყობილება. შვიდმილიონიანი ქალაქი, რასაკვირველია, მარტო ოლიმპიადით არ ცხოვრობს, მას ბევრი სხვა დიდი თუ პატარა საზრუნავიც აქვს. მაგრამ საკდესის მუდმივმა კორესპონდენტებმა მეხიკოში ე. სარატოვმა და ს. სიჩევმა დაგვიდასტურეს ჩვენი პირველი შთაბეჭდილება: XIX ოლიმპიური თამაშები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ უკვე მთლიანად დაეუფლა მექსიკის დედაქალაქის მოსახლეობას.

დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩამოსული სპორტსმენები ახლა ყველაზე პოპულარული ხალხია მეხიკოში (ეს თუნდაც მექსიკური გაზეთებიდან ჩანს). როცა ოლიმპიელთა ავტობუსები ქუჩებში დადიან, დიდი და პატარა სტუმრებს უღიმის, ხელს უქნევს (ასევე გულთბილად შეხვდნენ ჟურნალისტთა ავტობუსსაც, როცა ჩვენი ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტებთან ერთად აეროდრომიდან ოლიმპიადის პრეს-ცენტრისკენ მივდიოდით). ოლიმპიურ სოფელს მუდამ ხალხი ახვევია, საღამოობით კი, განსაკუთრებით შაბათ-კვირას, მის ჭიშკრამდე ვერც მიაღწევ...

ყველა ოლიმპიადის სიმბოლო — ერთმანეთში გადაწნული ხუთი რგოლი — თვალში მოგხვდებათ ყოველ კუთხეში — ქუჩების გასწვრივ ჩამწკრივებულ პლაკატებსა და ტრანსპარანტებზე, სახლის კედლებზე, ავტომანქანებზე, კოსტუმებზე, ხალათებზე... ოლიმპიადის მასპინძლები დიდ ფორუმს იღბლიან სტარტს და კეთილ მსვლელობას უსურვებენ. მექსიკის დედაქალაქის სტუდენტებმა, რომელთა გამოსვლებიც ოლიმპიურ თამაშებს ჩაშლას უქადდა, განზრახვა შეიცვალეს. მათ გადაწყვიტეს, რომ ოლიმპიადის დღეებში დროებით შეწყვიტონ დემონსტრაციები და სხვა ამგვარი, რის შესახებაც ოფიციალურად აცნობეს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს.

ოლიმპიური სოფლის დღის რეჟიმი ექვემდებარება ერთ მარტივ და გონივრულ ჭეშმარიტებას — „მომავალი მისია, ვინც ადრე დგება“.

სოფელი იღვიძებს გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე სადღაც მთებს უკან ჩასვენებული მზე მთავარი ჭიშკრის თავზე მოფარფატე ხუთ დიდ საჰაერო ბურთს ააფერადებს. გრიალებენ ავტომანქანები და ავტობუსები, რომელთაც „სამუშაო ადგილზე“ — შეჯიბრებებზე მიჰყავთ ოლიმპიელები. ათლეტებს მეორე საუზმის ქვითრები მოუმარაგებიათ, გაისმის სპორტული ბრძანებები. სადღაც არქეოლოგების მიერ ახლახან აღმოჩენილ ორ პირამიდას შორის ტარდება შეკრება ზოლიან ტანსაცმელში გამოწყობილი სიმპათიური ქალიშვილებისა, რომელთაც კაბებზე „მეხიკო“ აწერიათ და რომლებიც მუდამ მზად არიან დახმარება გაუწიონ ოლიმპიადის სტუმრებს.

12 ოქტომბერს დღისით (მოსკოვის დროით — საღამოს) უზარმაზარ ოლიმპიურ სტადიონზე XIX ოლიმპიადის ცეცხლი აგიზგიზდება. გახსნის აღლუმი აქ გაიმართება. სხვათა შორის, შეიძლება ოლიმპიადის განკარგულებაში პირველად იყოს ამდენი შესანიშნავი, ასე ყოველმხრივ სრულყოფილი ნაგებობა. მაგალითად, ძნელია აღტაცება დაფარო, როცა პირველად იხილავ ახალ სპორტის სასახლეს—ამ ვეებერთელა კარავს მზეზე მოელვარე ბრინჯაოს სფერული სახურავით...

... მაგრამ დავუბრუნდეთ მომავალი სპორტული ბატალიების გმირებს. მეხიკოს დედაქალაქში უკვე 109 ქვეყნის 7530 წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ისინი მოუთმენლად ელიან სტარტებს და ამ დღეებში არა მარტო იწვრთნებიან, არამედ მონაწილეობენ შეჯიბრებებშიც — ბოლო რეპეტიციებში დიდი ოლიმპიური სპექტაკლის წინ.

მაგალითად, შეჯიბრებები გამართეს საბჭოთა მოფარიკავეებმა. რაპირისტებსა და დაშნის ოსტატებს მატჩი იტალიელებთან ჰქონდათ, ესპადრონისტებს— ჯერ კუბელებთან, შემდეგ ამერიკელებთან. ქალები საფრანგეთის ნაკრებს შეხვდნენ. ყველა შეხვედრა სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მოიგეს. იქნებ ნამდვილი ოლიმპიური ბრძოლაც ასე დამთავრდეს!

მაგრამ ახლა გამარჯვება იქნება ისე ძნელი, როგორც არასდროს. ქვეყნის ექს-ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ე. ვინოკუროვმა გვითხრა: ოლიმპიადას ალბათ არასოდეს შეუკრებია ფარიკაობის ამდენი ექსტრა-ოსტატი.

მოცურავეებმა ოლიმპიური წყალი მოსინჯეს ამ ასპარეზობისთვის საგანგებოდ აგებულ აუზში — ნაცრისფერი რკინა-ბეტონით, ლითონითა და მუქი, თითქმის შავი მინით ნაგებ, ჩაზნექილი სახურავით გადაფარებულ შენობაში. „ბოლო გავარჯიშება ოლიმპიადის წინ მუდამ ყველაზე მნიშვნელოვანია“, — გვითხრა ხ. ბელიც-გეიმანმა. სხვათა შორის, იქ ბელიც-გეიმანს არც „ოჯახური მხარდაჭერა“ აკლია: გუშინ იგი ოლიმპიური დედაქალაქის აეროდრომზე შეხვდა... მამას, რომელიც საბჭოთა ტურისტების პირველ ჯგუფს ჩამოჰყვა.

... მორბენალი გ. საპეია ჩვენი სპორტული ექიმის გ. ვორობიოვის კაბინეტში ვნახეთ. მან მსუბუქად დაიჭიმა მარცხენა ფეხის კუნთი. მაგრამ ყველაზე სწრაფი საბჭოთა სპრინტერი იმედოვნებს, რომ ექიმების დახმარებით სრულ ფორმაში ჩადგება თამაშების დაწყების წინ. ჯერჯერობით კი იგი მკურნალობს და 100 მეტრზე რბენაში მთავარი მეტოქეების — ამერიკელი მორბენლების წვრთნას აკვირდება.

...ყველა თავისებურად ვარჯიშობს: ბი, მაგალითად, რა ვნახეთ ოლიმპიური სოფლის მთავარი შესასვლელის ახლოს განლაგებულ ორ ვრცელ დარბაზში — მოკრივეთა და მოჭიდავეთა სამფლობელოში. უზარმაზარი სარკეების წინ „ჩრდილს ებრძოდნენ“ აფრიკელი მოკრივეები. საკიდი „მსხლები“ სწრაფი, ზუსტი დარტყმებისგან გუგუნებდნენ. სამხრეთ კორეის სპორტსმენები კი რინგზე... ერთმანეთს ბურთს ესროდნენ და ყოველი მათგანი ცდილობდა ისე აერიდებინა მისთვის თავი, როგორც მეტოქის სწრაფი დარტყმისთვის.

ჭიდაობის დარბაზი სქელი ფარდებითაა დაყოფილი. მეტოქენი ერთმანეთისგან ფარულად ამუშავებენ „საიდუმლო“ ილეთებს.

ბოლო წინაოლიმპიური კვირეულის ოთხშაბათი ჩვენი გუნდისთვის უჩვეულოდ დაიწყო. სპორტსმენებმა ოლიმპიური სოფლის ინტერნაციონალური კლუბის ყველაზე დიდ დარბაზში მოიყარეს თავი. სამშობლოსგან 8 ათასი კილომეტრის დაშორებით საბჭოთა ოლიმპიელებმა, რომელთა უმეტესობასაც კომკავშირელები შეადგენენ, კომკავშირის 50 წლის იუბილე აღნიშნეს.

... როიალს მიუჯდა კომპოზიტორი ა. პახმუტოვა. გაისმა სიმღერა „ახალგაზრდა გვარდია“ და დარბაზში ალისფერი დროშა აფრიალდა. იგი მოაქვს ა. მედვედს. მას მოჰყვებიან გ. პროზუმენშჩიკოვა და ი. რისკალი...

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ჩესნავიჩუსმა კრება გახსნა და წაიკითხა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა სპორტსმენებისადმი — XIX ოლიმპიადის მონაწილეებისადმი. მანვე წაიკითხა დეპეშები, რომელთაც ყოველდღიურად გზავნიან მეხიკოში საბჭოთა სპორტის მოყვარულები და თავიანთ წარგზავნილებს გამარჯვებას უსურვებენ.

დიახ, დღეს მთელი საბჭოთა კავშირი, თანატოლები იმ ქალიშვილებისა და ჭაბუკებისა, ახლა დარბაზში რომ სხედან, ოლიმპიური სარბიელიდან კეთილ ცნობებს ელიან, რადგან სწამთ საბჭოთა სპორტსმენებისა. სპორტსმენები კი მზად არიან თავდაუზოგავად იბრძოლონ, რათა სსრ კავშირის წარგზავნილთა ღირსება დაიცვან, გაამართლონ თავიანთი ხალხის ნდობა. ამას ამბობდნენ კრებებზე ტანმოვარჯიშე ნ. კუჩინსკაია, მოკრივე ა. კისელიოვი, მოფარიკავე ე. ვინოკუროვი.

ოლიმპიელ-კომკავშირელთა ზეიმზე მოვიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. დიმიტროვის ახალგაზრდული კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ვასილჩევმა მათი სახელით თქვა: „გულწრფელად გილოცავთ დღესასწაულს, ჩვენ მუდამ თქვენთან ვიქნებით, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო“.

საბჭოთა სპორტსმენებს გულთბილად დაულოცეს გზა ოლიმპიადის საპატიო სტუმარმა, მფრინავმა-კოსმონავტმა გ. ტიტოვმა, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ს. პავლოვმა. კრება ოვაციებით შეხვდა ოლიმპიელთა წერილს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისადმი, საბჭოთა ახალგაზრდობისა და სპორტსმენებისადმი. წერილი, რომელიც შეკრებილთ ი. ტერ-ოვანესიანმა წაუკითხა, მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „შენს იუბილეს, კომკავშირო, ვუძღვნით მექსიკის ოლიმპიადაში მოპოვებულ საუკეთესო მიღწევებს. შენს იუბილეს, კომკავშირო, ვუძღვნით ჩვენს მომავალ ოლიმპიურ ჯილდოებს“.

**ბ. ბუხოვცევი, ა. ერმაკოვი, ა. სტაროდუბი, ი. ხრომოვი,**
**საკდესის სპეციალური კორესპონდენტები.**

„ოლიმპიადის კულტურული ნაწილის“ პროგრამით გახსნილი ერთ-ერთი გამოფენის ყველაზე ძველი ექსპონატია პერუდან ჩამოტანილი სარკოფაგი. იგი 700 წლისაა.

●

როგორც ზოგიერთ სხვა ოლიმპიურ დელეგაციას, მეხიკოში ნორვეგიის გუნდსაც ჩამოუტანია საგზალი — ეროვნული კერძების მარაგი. ესაა ცხვრის საგანგებო ყავისფერი ყველი და შავი ნორვეგიული ძეხვი.

●

მექსიკის ოლიმპიადა ჯერ არ დაწყებულა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კი უკვე მიიღო განაცხადები 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციისთვის. მომავალი ოლიმპიადის მასპინძლობა სურთ მონრეალის (კანადა), ლოს-ანჟელესის (აშშ), ალჟირის ერთ-ერთი ქალაქის მესვეურებს, ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზაცია — დენვერსა და კოლორადოს (აშშ), აგრეთვე, ვანკუვერს (კანადა).



მექსიკის თამაშებიდან დაწყებული. ოლიმპიურ ფიცს მიიღებენ არა მხოლოდ სპორტსმენები, არამედ მსაჯები და ოფიციალური პირები.

საორგანიზაციო კომიტეტის დასახელებული კაცი ყველა დანარჩენის სახელით განაცხადებს, რომ არბიტრები და ოფიციალური პირები „თამაშებზე სრული სამართლიანობით, წესების პატივისცემითა და მტკიცედ დაცვით შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს...“ ეს ფიცი წარმოთქმული იქნება ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე სპორტსმენთა ტრადიციული დაპირების შემდეგ.

●

მექსიკაში ოლიმპიური თამაშების ნებისმიერი მონაწილე შეიძლება შეამოწმონ დოპინგის გამოყენების თვალსაზრისით. თუ გამოირკვა, რომ რომელიმე ათლეტმა ალმგზნები საშუალება მიიღო, მას მყისვე დისკვალიფიკაციას მისცემენ. გუნდი იმ სახეობაში, რომელშიც ეს ათლეტი გამოდი[ოდა]... გროვილ ქულებს დაკარგავ[ს]... ბამისი საერთაშორისო ფედ[ერაცია]... კი დასვამს ამ გუნდის შეჯიბ[რებებ]იდან მოხსნის საკითხს.

●

ფეხბურთის საერთაშორისო [ფე]დერაციამ გადაწყვიტა სპეცია[ლუ]რი დიპლომით დააჯილდოოს „[ყვე]ლაზე სპორტული გუნდი“ ი[მ კო]ლექტივებიდან, რომლებიც ... ლურ ოლიმპიურ ტურნირში მ... ბენ მონაწილეობას. თუ ეს „... წარმატებით დაგვირგვინდა, ... ასეთ დიპლომებს გასცემს ყ... მომავალ ოლიმპიურ თამა[შებსა] და მსოფლიო ჩემპიონატში.

●

ინგლისელმა აფროსანმა რ. ... ტისონმა აკაპულკოს ს... ტებამდე მოიპოვა გამარ[ჯვება]. ეს გამარჯვება ძალზე თ... ბური იყო: ინგლისელის „ფ... ნავს ყველაზე გრძელი და გ... ბარი სახელი ჰქვია. იგი ... ბით ასე ჟღერს: „სუპერ...

# მეხიკოს რი[ნგი]

Თანამედროვე კრივის სამშობლოდ ინგლისი ითვლება, მაგრამ ფაქტიურად სპორტის ამ სახეობას საფუძვლად მუშტი-კრივი უდევს. ძველ საბერძნეთში ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიზიკური ვარჯიში იყო და ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შედიოდა. ეს გასართობი ძალიან უყვარდა რუს ხალხსაც.

რუსეთში მოკრივეთა პირველი მატჩი 1897 წელს ჩატარდა, პეტერბურგში, მაგრამ ამ სახეობის განვითარების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1913 წელი, როცა ჩემპიონატი მოეწყო. მაშინ კრივს ბევრი როდი მისდევდა. 1915 წლის ჩემპიონატში, მაგალითად, მხოლოდ 7 სპორტსმენი მონაწილეობდა. ახლა საბჭოთა კავშირში მოკრივეთა სექციებში ასეული ათასობით სპორტსმენია ჩაბმული, წლევანდელი ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებაში კი, რომელიც ლენინაკანში გაიმართა, 11 წონით კატეგორიაში 176 კაცი იბრძოდა პირველობისთვის.

1926 წელს, როცა პირველად გამოვლინდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები, საბჭოთა ოსტატებმა საზღვარგარეთის სპორტსმენებთანაც სცადეს ძალა. დებიუტები უცხოურ სარბიელზე წარმატებით ჩატარდა. მას შემდეგ საბჭოთა მოკრივეები ბევრჯერ შეხვედრიან ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, პოლონეთის, საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, გდრ-ის, გფრ-ის, იუგოსლ[ავიის]... იაპონიისა და სხვა ქვეყნების წა[რმო]მადგენლებს.

30-ანი წლების ბოლოსა და 40-... წლების დამდეგს რინგზე ბრწყინ[ავდ]ნენ გამოჩენილი ოსტატები ნ. კ... ოვი, ვ. მიხაილოვი, ე. ოგურენკო[ვი]... შჩერბაკოვი, ლ. თეიმურიანი. ... თან ყალიბდებოდა კრივის საბ[ჭო]თა სკოლა.

მსოფლიოს მასშტაბის შეჯიბრე[ბებში] საბჭოთა მოკრივეების ჭაშნიკი ... მათი მონაწილეობა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში. იქ სსრ კ[ავში]რის გუნდმა მოიპოვა ვერცხლი[ს] ... ხოლო ბრინჯაოს 4 მედალი და ... ოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ... ადგილი დაიკავა აშშ-ს ნაკრების ... დეგ. სამაგიეროდ, ოთხი წლის შ...

## ვინ მიიღებს „მო...

**მეხიკო, 10 ოქტომბერი.** სპ[ო]რტის მოყვარულმა მოსკოვე[ლ]მა მწერლებმა „ლიტერატუ[რ]ნაია გაზეტას“ რედაქციას[თან] ერთად დააწესეს ტრადიციუ[ლი] „მოულოდნელობის პრი[ზი]“ იმ საბჭოთა ოლიმპიელისთვ[ის], რომელიც გააცამტვერებს პრ...

# რას იწონის ოლიმპიური მედალი?

Ოლიმპიური ოქროს მედალი რამდენიმე... რაღაც გრამებს იწონის. მაგრამ მეხიკოში ასეთი სუვენირი რომ მოიპოვოს, მძიმე წონის ძალოსანმა სამჭიდში თითქმის ნახევარი ტონა უნდა დაძლიოს.

ერთი წლის წინ იან ტალტსმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სარბიელზე მსოფლიოს ქვემძიმე წონის ძალოსანთა შორის პირველმა გადალახა 500-კილოგრამიანი ზღვარი სამჭიდში. ეს იყო თავისებური სპორტული გმირობა, რომელიც ღირსეულად შეფასდა. 24 წლის ესტონელი სტუდენტი, რომელსაც მანამდე არ მოუგია მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონის ტიტული, შარშან საბჭოთა კავშირის № 1 სპორტსმენად დაასახელეს.

მსოფლიო რეკორდსმენის სარტყელზე ერთი წლის წინ ნახავდით ხუთ ერთმანეთში გადაწნულ ოლიმპიურ რგოლს, სიტყვას — „მეხიკო“ და ციფრს — „510“. მაშინ ეგონათ, რომ სამჭიდში სწორედ ეს შედეგი იქნებოდა საკმარისი ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვებისთვის. მაგრამ ახლა, მეხიკოში გამგზავრების წინ, ტალტსმა თავის სარტყელზე ახალი ციფრი აღნიშნა — 525. სულ ახლახან ხომ ფინელმა კარლო კანგასნიემიმ სამი მოძრაობის ჯამში 522,5 კგ დააგროვა, რაც მთელი 10 კგ-ით მეტია ესტონელის მიერ ივნისში ევროპის ჩემპიონატში ნაჩვენებ სარეკორდო შედეგზე.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ტალტსს მარცხი ელის. ძალოსანთა შეჯიბრებაში, როგორც წესი, იმარჯვებს ის, ვინც უკეთ აჰკრავს. ახლახან დუბნაში ესტონელმა ძალოსანმა იოლად აიტანა მკერდზე და კინაღამ თავს ზევითაც აჰკრა 200-კილოგრამიანი შტანგა. ოლიმპიადაზე გაიმარჯვებს ის, ვისაც უფრო მაგარი ნერვები ექნება. თავდაჭერა და დისციპლინა კი ევროპის ჩემპიონ ტალტსს არ ესწავლება.

სულ ბოლო დრომდე ოქროს მედლის ფავორიტად ითვლებოდა 30 წლის კიეველი ლეონიდ ჟაბოტინსკიც, რომელიც 1964 წლიდან ატარებს დედამიწის ყველაზე ღონიერი კაცის სახელს. ამ ზაფხულს ამერიკელებმა, რომელთაც 8 წლის წინ დაკარგეს ეს არაოფიციალური, მაგრამ უაღრესად საპატიო სახელი, მასობრივი იერიში მიიტანეს საბჭოთა ძალოსნების პოზიციებზე. მეხიკოში ჟაბოტინსკის მძიმე ბრძოლა ელის. მიუხედავად ამისა, მას ყველაზე მეტად აქვს არა მარტო გამარჯვების, არამედ ხაოცნებო 600-კილოგრამიანი ზღუდის გადალახვის შანსიც. ასეთ შედეგს კიეველისგან ჩვენ ამ ზაფხულს ველოდით, მაგრამ მან მთავარი ყურადღება ოლიმპიური ფიცარნაგისთვის მზადებას მიაქცია.

რვა საბჭოთა ძალოსნიდან ტოკიოში გარდა ჟაბოტინსკისა გამოდიოდა მოსკოველი ვ. კურენცოვიც, რო[მელმაც] მაშინ ვერცხლის ჯილდო დაი[მსახურა] ქვესაშუალო წონაში. ბოლო ო... ლიწადში ძალოსანთა ოლიმპიუ[რი ოჯა]ხის კომორგი კარგ მაგალითს ... ახალგაზრდობას. მოსკოვის ა... დინჯი, მშვიდი სპორტსმენი ... იყო მსოფლიოს ჩემპიონი, ხო[ლო ბო]ლო წლებში 21 მსოფლიო რ[ეკორდი] გააუმჯობესა. კურენცოვმა ამა[ს]... ერთბაშად 10 კილოგრამით გ... ბესა თავისი მსოფლიო რეკორ[დი სამ]ჭიდში — 482,5 კგ ასწია. პრ[ესა]... ბში მას „ფავორიტთა ფავო[რიტს]“ იხსენიებენ.

ახალგაზრდა საბჭოთა გუნდ[ში] ... წლის პერმელი არმიელი გ. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲓᲦᲔᲡ თავის ხანგრძლივ მოგზაურობას დაამთავრებს ოლიმპოს მთიდან წამოსული ჩირაღდანი. მას ბოლო ეტაპზე მიიღებს 400 მეტრზე რბენაში მექსიკის ჩემპიონი ენრიკუეტა ნორმა ბასილიო და მეხიკოს ოლიმპიურ სტადიონზე დაანთებს მარადიულ ცეცხლს. ბასილიო ოლიმპიადების ისტორიაში პირველი სპორტსმენი ქალია, ვისაც ესოდენ დიდი პატივი ხვდა წილად. ამიტომ იგი დიდხანს ემზადებოდა სადღესასწაულო სპექტაკლისთვის — ხშირად ვარჯიშობდა იმ ტრასაზე, რომელზეც ჩირაღდანი უნდა გაატაროს. მაგრამ ბასილიოსთვის ეს არ იყო ერთადერთი საზრუნავი. იგი მასპინძელთა იმედია 200 და 400 მეტრზე რბენაში და, რა თქმა უნდა, ოლიმპიური მედლებისთვისაც უნდა იბრძოლოს.

* * *

სურათზე: ენრიკუეტა ნორმა ბასილიო და მისი მწვრთნელი.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲚᲔᲑᲘ

## ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ 8 ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

სოფლიდან საბჭოთა არმიაში ისე გაიწვიეს, რომ თანატოლებთან ერთხელაც არ უჭიდავია. სკოლაში უფრო ფეხბურთი უყვარდა, ამხანაგებს ხანდახან რბენაშიც გაეჯიბრებოდა ხოლმე. ეს იყო და ეს...

იმ ნაწილმა, რომელშიც შოთა ლომიძე ჩარიცხეს, მოლდავეთში დაიბანაკა. ქვეგანაყოფის ფიზკულტურის ხელმძღვანელმა რომ გაიგო, ნაწილში ქართველი ჯარისკაცია, მოძებნა:

— პირველობისთვის ვემზადებით. შენს წონაში კაცი გვაკლია, იქნებ გვიშველო!

— რას ამბობთ! არასდროს მიჭიდავია, გინდათ ქვეყნის სასაცილო გამხადოთ? — გაოცდა შოთა, მაგრამ ვინ დაუჯერა. ფიზკულტურის ხელმძღვანელი არა და არ მოეშვა.

მეტი რა გზა ჰქონდა. პირველ ვარჯიშზე საყუდლიელი ჭაბუკი თავად ფიზკულტურის ხელმძღვანელმა გამოსცადა, წამოიკიდა და ხალიჩას ტომარასავით დაახეთქა. ჯარისკაცი ჯანიანი ბიჭიც იყო და თავმოწონეც, წაქცევა ითაკილა, გახელებულმა კიდევ მოითხოვა ჭიდება და... ასე დაიწყო მისი გზა ჭიდაობაში.

... დადგა თავისუფალ ჭიდაობაში არმიელთა სპორტკლუბის პირველობის დღე. ქართველ ჯარისკაცს თავი არ შეურცხვენია. ამას სხვა წარმატებები მოჰყვა. შოთამ მოლდავეთის ჩემპიონობა მოიპოვა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ამ რესპუბლიკის ნაკრებში ჩაირიცხა.

დადგა სპარტაკიადის დღეები. ქართველი მოჭიდავე ტურნირში თავიდანვე მარჯვედ ჩაება და ფინალში გავიდა.

1959 წელს დემობილიზებული ლომიძე საქართველოს ჭიდაობის მესვეურთა წინადადებით თბილისში დასახლდა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ილურიძის ხელმძღვანელობით განაგრძო წვრთნა. მისი ყველა წარმატების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მხოლოდ მეხიკოს ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში მოპოვებულ შედეგებზე გიამბობთ.

1965 წლის ივნისი იდგა. სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში თბილისსა და ერევანში ჩატარდა. საქართველოს სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, რომ მაშინ საქართველოს ფალავნებმა რვიდან 5 პირველი ადგილი დაიკავეს. პირველთაგან ერთ-ერთი იყო შოთა ლომიძე, რომელმაც ჩამოიტოვა ქვემძიმე წონის სხვა ფავორიტები — ტალინელი კ. ლიივა და თანაგუნდელი ნ. ანთიძე.

გავიდა კიდევ ერთი წელი. ევროპის საუკეთესო ათლეტები კონტინენტის მოჭიდავეებში უძლეველთა ვინაობის დასადგენად კარლსრუეში შეიკრიბნენ. მაშინ შოთას დიდი ჯაფა დაადგა, მაგრამ ყველა გამოცდა მხნედ გადაიტანა: თანდათან ჩამოიშორა გზიდან ფავორიტები ა. აიკი (თურქეთი), ი. ჩატარი (უნგრეთი) და სხვები და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ეს იყო მაისში, ოქტომბერში კი შოთა საკავშირო პირველობაში ჩაება. ევროპის ჩემპიონი ლომიძე ახლა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულის დასაცავად იბრძოდა. ფალავნის დამარცხება ვერავინ შეძლო.

დადგა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის წელი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრებს სხვა საზრუნავიც ჰქონდა — გუნდი ემზადებოდა ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც სპარტაკიადამდე სამიოდე კვირით ადრე უნდა გამართულიყო. სტამბოლში ფინალმა ერთმანეთს შეახვედრა ძველი მეტოქენი — ლომიძე და მასპინძელთა წარმომადგენელი აიკი. გადამწყვეტი შერკინება შეუპოვარი გამოდგა, მაგრამ აიკს ალბათ საკუთარი კედლები მოეხმარა და ლომიძე ვერცხლის მედალს დასჯერდა. ამას მოჰყვა სპარტაკიადა, ისევ ჩემპიონობა და უფრო დიდი ტურნირისთვის — დედის მსოფლიო პირველობისთვის მზადება.

ინდოეთის დედაქალაქში შეჯიბრებამ სამ დღეს გასტანა. სსრ კავშირის გუნდმა იქ 41 ქულა დააგროვა და 19 ქულით აჯობა იაპონიის კოლექტივს. ამ წარმატებაში ერთნაირი წვლილი მიუძღვით ზ. ბერიაშვილს, გ. საღარაძეს და შ. ლომიძეს, რომელთაც II ადგილები დაიკავეს.

სსრ კავშირის ჩემპიონი პირადი შედეგით შინ უკმაყოფილო ბრუნდებოდა და ფიცს დებდა, პირველივე შეხვედრაში აელო რევანში.

ეს დღეც მოახლოვდა. მეხიკოს „პიტსახელოს" სპორტულ დარბაზში 17-19 ოქტომბერს გამართული წინასწარი შეხვედრები გადაწყვეტს, ვინ იბრძოლებს ოქროსთვის 20 ოქტომბერს ნახევარფინალურ და ფინალურ შეჯიბრებებში.

ნ. ᲑᲘᲑᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *



სურათზე: შოთა ლომიძე.

MEXICO 68

ავსტრალიელ წყალბურთელთა გუნდი მექსიკის ოლიმპიადაში არ გამოვა. მიზეზი მოულოდნელია. აღმოჩნდა, რომ გუნდის განაცხადი ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა არ დაამტკიცა. კომიტეტის წევრები ფიქრობდნენ, რომ წყალბურთელებს ამ შეჯიბრებაში გამარჯვების შანსი არ ჰქონდათ. მაშინ სპორტსმენები ოლიმპიადაზე ცალკე ჩამოვიდნენ და მეხიკოს ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავდნენ. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდნენ ასპარეზობის უფლების მოპოვებას, მაგრამ... საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დებულების თანახმად, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერის გარეშე ოლიმპიადაში ვერც ერთი გუნდი ვერ მიიღებს მონაწილეობას.

●

დანარჩენი ოლიმპიელებისგან განსხვავებით, შვედმა ბადროს მტყორცნელმა რ. ბრუხმა გადაწყვიტა, რომ მექსიკის სიმაღლეზე აკლიმატიზაცია სულაც არ სჭირდებოდა. იგი მეხიკოში თავისი ქვეყნის ათლეტთა ბოლო ჯგუფს ჩამოჰყვა, მაგრამ მეორე დღესვე... გაფრინდა სანდიეგოში (კალიფორნიის შტატი, აშშ), სადაც აკლიმატიზაციას გაივლის 13 ოქტომბრამდე. იმ დღეს ბრუხი მექსიკის დედაქალაქში დაბრუნდება. „მას ხმაური და აურზაური არ უყვარს, — თქვა ბრუხის მწვრთნელმა ანდერსონმა, — მყუდრო ადგილზე ვარჯიში ურჩევნია".

ტა... „პაიელიდოჩესი". როცა ...ოლ... ჰკითხეს, რას ნიშნავს ...ხელი..., მან თქვა: რაღაც „კა...ბ..." მსგავსსო.

●

...წუხაროდ, XIX ოლიმპია...დედაქალაქში უსიამოვნო ამბე...ხდება. მაგალითად, დაშავდა ...ლ...გამოქმული პოლონელი სა...მელი ი. შმიდტი. მხოლოდ ...ოეს დღეებში გაირკვევა, გა...თუ არა ორგზის ოლიმპიური ...ონი ახალი ოლიმპიადის სარ...ზე... დააპატიმრეს რამდენიმე ...ლანტი, რომლებიც ცდილობ...ძალიან ძვირად გაეყიდათ მე... ოლიმპიადის საზეიმო გახს...და დახურვაზე, აგრეთვე, ...ულ სახეობებში შეჯიბრე...დასასწრები ბილეთები... მაგ...ს რამდენიმე უსიამოვნება, რა ...უნდა, არაფერი ჩანს სპორ...მეგობრობის, ძალისა და სი...ბის დღესასწაულისთვის მზია...საზეიმო მზადების ფონზე.

●

...ტემ... წომა სატურნინო რუ...სტრიანმა გაიმარჯვა წინაოლიმპიურ საგზატკეცილო ველორბოლაში 182 კმ-ზე. მისი შედეგია 4:18.58. რბოლაში მონაწილეობდა 20 ქვეყნის 100-ზე მეტი სპორტსმენი. ეს იყო ბოლო შეჯიბრება ოლიმპიადის წინ.

●

მექსიკის ტანვარჯიშულ სარბიელზე 141 ვაჟი და 115 ქალი გამოვა. ტოკიოს ოლიმპიადაში ამ სახეობაში 130 ვაჟი და 66 ქალი ცდიდა ძალას.

●

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის სესიაზე ჯერჯერობით უარი თქვა იმ წინადადებაზე, რომ იახტების ოლიმპიური კლასების რიცხვი ხუთიდან ექვსამდე გაიზარდოს. აფროსნობის საერთაშორისო კავშირმა წინადადება წამოაყენა ოლიმპიური შეჯიბრებების პროგრამას დაუმატონ რბოლა კატამარანებითა და ტრიმარანებით (ნავები ორი ან სამი კორპუსით).

## ...ᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

...ბურნში საბჭოთა მოკრივეები პირ...ნი იყვნენ. მათ მოიპოვეს ოქროს ...ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 2 მედა...40 ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ...ინსკელი ვ. საფრონოვი, ერევნელი ...არნვიმარიანი და ლენინგრადელი გ. ...ოვი. რომის თამაშებში (1960 წ.) ...ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული დაი...კუთრა მოსკოველმა ო. გრიგორიევმა. ...საბჭოთა მოკრივეები წარმატებით ...ვიდნენ ევროპის პირველობებშიც ...ი ოლიმპიადის შემდეგ ყველაზე დიდ ...ჯიბრებებში. საბჭოთა ათლეტების ...კუტი ვარშავაში 1953 წელს ენგი...ანისა და კაუნასელი ა. შოციკა...ს გამარჯვებით დამთავრდა. 1955 ...აშის დასავლეთ ბერლინში შოციკასის ...ს და პირველი ხელთათმნის სახელი ...ოვა შატკოვმაც. პრაღის (1957 წ.) და ლიუცერნის (1959 წ.) ევროპულმა პირველობებმა საბჭოთა ნაკრებს 3-3 მედალი მოუტანა, 1961 წელს ბელგრადში მათ 5, 1963 წელს მოსკოვში კი 6 მედალი დაისაკუთრეს.

საბჭოთა მოკრივეებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში, სადაც ოქროს 3, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 2 მედალი დაისაკუთრეს. ბერლინის ევროპულ ჩემპიონატში (1965 წ.) საბჭოთა ოსტატებმა 8 პირველი ადგილი დაიკავეს. ტოკიოშიც და ბერლინშიც ტურნირის საუკეთესო მოკრივედ საბჭოთა სპორტსმენი ვ. პოპენჩენკო იყო აღიარებული.

თითქმის ყველა მსოფლიო სახელის მქონე საბჭოთა ოსტატმა ტოკიოს შემდეგ ადგილი ახალგაზრდა ცვლას დაუთმო.

მეხიკოს ოლიმპიურ რინგზე გამოვლენ ნიკოლაეველი ვ. ზაპოროჟეცი, მოსკოველი ნ. ნოვიკოვი, ჩებოქსარელი ვ. სოკოლოვი, ვ. პლოტნიკოვი (მოსკოვი) და ვ. ბელოუსოვი (ვოლგოგრადი), მოსკოველი ე. ფროლოვი და კიეველი ვ. მუსალიმოვი, ვეტერანები ბ. ლაგუტინი და ა. კისელიოვი (ორივე — მოსკოვი), ევროპის ჩემპიონი დ. პოზნიაკი (ვილნიუსი) და ი. ჩაპულისი.

ახალგაზრდობას მეხიკოში ძნელი გამოცდა ელის.

ჰ. ᲮᲐᲩᲐᲢᲠᲘᲐᲜᲘ,
საკდესის კორესპონდენტი.

## ...ᲝᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲡ"?

...სპორტზებს და ფავორიტებს აჯო...ვებს. ...ამ პრიზის მფლობელს დაასა...ლებენ ლ. კასილი, ა. კულე...ვი, ც. სოლოდარი და ა. სო...რონოვი, რომლებიც აქ მოს...ვის ჟურნალ-გაზეთების სპე...ციალურ კორესპონდენტებად ...მოვიდნენ.

## ?

...იგი ჯერ არ გამოსულა საერთაშორისო ჩემპიონატებში, მაგრამ, სამაგიეროდ, მსოფლიო რეკორდსმენი და სსრ კავშირის ჩემპიონია. როგორც ცნობილია, ზოგჯერ სამამულო შეჯიბრებებში გამარჯვება უფრო ძნელია, ვიდრე ბევრ საერთაშორისო ტურნირში.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ნაკრებ გუნდში ლენინგრადის ერთბაშად ორი წარმომადგენელი აღმოჩნდა: ევროპის ჩემპიონი საშუალო წონაში ბ. სელიცკი და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ქვესაშუალო წონაში ე. სმირნოვი. მათ საკმაოდ რთული გზა გაიარეს სპორტში და წარმატებას მიაღწიეს ახლა, როცა პირველს 30 წელი შეუსრულდა, მეორეს — 31. ახლა ეს სპორტსმენები საუცხოო ფორმაში არიან და ძალიან მაღალი შედეგების მოპოვება შეუძლიათ. სხვათა შორის, სელიცკი უკვე მეორე წელია სათავეში უდგას საუკეთესოთა სიას თავის წონით კატეგორიაში.

საშუალო წონაში გამოვა მსოფლიოს ჩემპიონი, 28 წლის კიეველი არმიელი ვ. ბელიაევი, რომელმაც კვლავ მოიპოვა თავისი ძალის რწმენა. ქვემსუბუქ წონაში საახპარეზოდ ამას წინათ გუნდში მიიწვიეს თბილისელი სტუდენტი დ. შანიძე, რომელმაც ყველა გააოცა ჰელსინკში. იქ მან თავის წონით კატეგორიაში აჩვენა მეორე შედეგი ძალოსნობის ისტორიის მანძილზე — 392,5 კგ.

მაშ ასე, საბჭოთა გუნდში შედის რვა ძალოსანი შვიდ ვაკანტურ ადგილზე. არჩევანი საბჭოთა გოლიათების მოძღვარს, სატურნირო ბრძოლის ბრძენ სტრატეგს ა. ვორობიოვს ეკუთვნის. ბრძოლა კი შეუპოვარი იქნება, რადგან, როგორც იური ვლასოვმა თქვა, „ყველას სურს უფრო ღონიერი იყოს".

საბჭოთა ათლეტებმა გაიმარჯვეს ჰელსინკის, რომის, ტოკიოს ოლიმპიადებში. მათ მხოლოდ მელბურნში დაუთმეს 1 ქულა ამერიკელებს. ახლა საბჭოთა ძალოსნების მთავარ მეტოქეებს შორის იქნებიან პოლონეთის, უნგრეთის, იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები. სიურპრიზები შეუძლიათ შემოგვთავაზონ სხვა ქვეყნების ცალკეულმა სპორტსმენებმაც, ასე რომ, მწვრთნელები ფრთხილად უნდა იყვნენ.

* * *



სურათზე: საბჭოთა გოლიათი ლ. ჟაბოტინსკი ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. ორმა ბერლინელმა გოგონამ სპორტსმენს გამარჯვება მიულოცა.

ფოტო ი. თუმანოვისა და ადნ–საკდესისა.

## სსრ კავშირის პირველობა

### ფეხბურთი

### ტურები, გოლები, ქულები

#### მარცხი ალმა-ათაში

ქუთაისის ტორპედოელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განვლილი ტურის შეხვედრას ალმა-ათის „კაირატთან". ორივე გუნდი სახიფათო ზონაში იმყოფება და ამდენად მათს მატჩში აღებულ თვითეულ ქულას განსაკუთრებული ფასი აქვს.

ეს პრინციპული თამაში მოიგო „კაირატმა" — 2:0. მატჩის ბედი გადაწყდა ბოლო 10 წუთში. ანგარიში გახსნა ტიაგუსოვმა, ხოლო ვოლოხმა მეორე ბურთი გაიტანა ტორპედოელთა კარში.

სსრ კავშირის მორიგი, XXXII ტურის მატჩებიდან ერთ-ერთი ცენტრალური იყო შეხვედრა მინსკში, სადაც ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს მოსკოვის „ტორპედო". მაგრამ ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდების ბრძოლა მწვავე არ გამოდგა: ტორპედოელებმა იოლად შეძლეს მეტოქის დამარცხება — 3:0. ანგარიში გახსნა გერშკოვიჩმა, მეორე ბურთი გაიტანა ლენიოვმა, ხოლო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა სტრელცოვმა მესამე ბურთი გაგზავნა დინამოელთა კარში. ეს სტრელცოვის მე-17 გოლია მიმდინარე გათამაშებაში.

„შახტიორმა" მარცხი განიცადა საკუთარ მინდორზე „ნეფტჩისთან" შეხვედრაში. ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში გაიტანა სტეკოლნიკოვმა.

ისევ წააგო აუტსაიდერმა — კიროვაბადის „დინამომ". ამჯერად იგი ლუგანსკში იმსხვერპლა „ზარიამ" — 1:0. გოლის ავტორია ლიტვინოვი.

უკიდურესად საჭირო 2 ქულა აილო „პახტაკორმა" საკუთარ სტადიონზე როსტოვის არმიელთა გუნდთან შეხვედრაში. მასპინძლებმა გაიმარჯვეს—2:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს იბრაგიმოვმა და კრასნიცკიმ, როსტოველთაგან — კორნეევმა.

### ჯერჯერ...

ჩემპიონატის მორიგ მატჩში მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და თბილისის „დინამოს" თანაკლუბელთა გუნდები. თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით—1:0.

„ა" კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 31 | 19 | 10 | 2 | 51—20 | 48 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 31 | 18 | 7 | 6 | 52—34 | 43 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 31 | 16 | 10 | 5 | 49—23 | 42 |
| ცსკა | 31 | 15 | 9 | 7 | 40—28 | 39 |
| „დინამო" (მინსკი) | 30 | 14 | 9 | 7 | 35—25 | 37 |
| „დინამო" (თბილისი) | 32* | 13 | 10 | 9 | 39—22 | 36 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 31 | 14 | 8 | 9 | 43—29 | 36 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 30 | 10 | 13 | 7 | 42—37 | 33 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 31 | 10 | 12 | 9 | 30—32 | 32 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 33 | 10 | 11 | 12 | 21—34 | 31 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 32 | 9 | 11 | 12 | 32—32 | 29 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 31 | 8 | 13 | 10 | 28—40 | 29 |
| ასკ (როსტოვი) | 32 | 9 | 10 | 13 | 37—41 | 28 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 32 | 9 | 10 | 13 | 32—42 | 28 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 31 | 8 | 9 | 14 | 20—31 | 25 |
| „არარატი" (ერევანი) | 30 | 9 | 6 | 15 | 27—38 | 24 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 32 | 8 | 8 | 16 | 21—35 | 24 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 33 | 7 | 9 | 17 | 25—40 | 23 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 32 | 7 | 8 | 17 | 31—53 | 22 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 32 | 5 | 9 | 18 | 19—38 | 19 |

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურისა და გამოტოვებული შეხვედრები.

● „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) — „მშენებელი" (სიღნაღი) 2:0. მსაჯი ი. მჭედლიშვილი (თბილისი).

● „სპარტაკი" (ბორჯომი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 3:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ბორჯომელთა სწრაფ, ენერგიულ იერიშებს მე-15 წუთზე მოჰყვა ჩადუნელის მიერ თავით გატანილი გოლი, ხოლო შესვენების შემდეგ გუგუბერიძემ კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0. სტუმრებმა გააძლიერეს თამაში და ერთი გოლიც გაქვითეს (გეგელია), რასაც სპარტაკელებმა მესამე ბურთით უპასუხეს (გუგუბერიძე). მატჩის ბოლო წუთებზე „ბახმარომ" შეძლო ერთი ბურთით შეემცირებინა განსხვავება ანგარიშში.

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „აერო" (გალი) 3:2. მსაჯი ი. მჭედლიშვილი (თბილისი).

● „დურუჯი" (ყვარელი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:1. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

39-ე წუთზე სტუმრების თავდამსხმელი მატიტაშვილი სწრაფად გავიდა მოწინააღმდეგე მცველთა შორის და გახსნა ანგარიში. ამ გოლის გაქვითვა ყვარლელებმა შეძლეს მხოლოდ შესვენების შემდეგ 11-მეტრიანი დარტყმით.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „გარეჯი" (საგარეჯო)—„არაგვი" (მცხეთა) 0:0. მსაჯი თ. ნიშნიანიძე (თბილისი).

● „არაგვი" (მცხეთა) — „სულორი" (ვანი) 2:0. მსაჯი გ. აბაზაძე (თბილისი).

29-ე წუთზე სტუმრების კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, რომელიც ზუსტად შეასრულა ბეშქენაძემ. შემდგომში ბრედნიკოვმა ანგარიში გაზარდა.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „აერო" (გალი) 0:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

● „ისანი" (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 0:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და რამდენიმე სახიფათო იერიშის შემდეგ ხაჭაპურიძემ გაიტანა პირველი გოლი. თბილისელები ბევრს ეცადნენ შეეტანათ გარდატეხა თამაშში, მათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ თავდამსხმელები ძალზე უხეიროდ ურტყამდნენ კარში. სამაგიეროდ, გორელებმა (მაზმიშვილი) კიდევ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას.

● „მშენებელი" (სიღნაღი)—ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა საუცხოოდ ითამაშეს ლიდერის წინააღმდეგ. მათი ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო თავიდანვე და ჯერ ზურაშვილმა, ხოლო შემდეგ ნადირაშვილმა ორჯერ აიძულეს არმიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. შესვენების შემდეგ თბილისელები სრული ძალით ათამაშდნენ, მაგრამ მათ შეძლეს მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა. „მშენებლის" დაცვასა და მეკარეს მთელი თავიანთი შესაძლებლობით რომ არ ეთამაშათ, შეიძლება საბოლოო ანგარიში საყაიმო ყოფილიყო.

● „ლაითური" (მახარაძე) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 3:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

45 წუთს მიმდინარეობდა თანაბარი ბრძოლა და ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ მახარაძელებმა საგრძნობლად გააძლიერეს თამაში და ჯერ კილაძემ, ხოლო შემდეგ მღალაძემ (ორჯერ) გამარჯვება მოუტანეს „ლაითურს".

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სამცხე" (აწყური) 2:1. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) 4:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

მასპინძელთა სრული უპირატესობა პირველივე წუთებიდან აშკარა იყო. ანგარიში გახსნა ბირკაიამ. შემდგომში ფანცულაიამ, იმავე ბირკაიამ და კვარაცხელიამ „დაამრგვალეს" მატჩის ანგარიში 4:0-მდე.

● „დურუჯი" (ყვარელი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 4:1. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

● „კოლხეთი" (ცხაკაია)—„ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

● „მესხეთი" (ახალციხე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (თბილისი).

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

„შირაქი" (წითელწყარო)—„ივ-ალეთი" (წალკა) 2:0, „განთიადი" (აბაშა) — „კოლხეთი" (ხობი) 1:0, „იმერეთი" (თერჯოლა) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „აბული" (ახალქალაქი) 4:1, „შირაქი" (წითელწყარო)—„მევენახე" (ვაზისუბანი) 2:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „შრომითი რეზერვები" (თბილისი) 0:5, „ვარძია" (ასპინძა) — „გარისი" (თეთრი წყარო) 2:0, „განთიადი" (აბაშა) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 2:0, „იმერეთი" (თერჯოლა) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 2:1, „ტორპედო" (ქუთაისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:0, „დინამო" (ოჩამჩირე) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:1. ასპინძის „ვარძიას" გამარჯვება ჩაეთვალა ახმეტის „ბახტრიონთან" შეხვედრაში.

### ზონალური გათამაშება

დმანისი — „აერო" (თბილისი) 1:1, ონი — ლანჩხუთი 2:0.

## უცხოეთის ამბები

**ბრიუსელი.** ბელგიის ნაკრებმა საკუთარ მინდორზე საკმაოდ იოლ გამარჯვებას მიაღწია ფინეთის გუნდთან — 6:1. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა. ბელგიელთა შორის აღნიშვნის ღირსია პოლენიუსი, რომელმაც 3 გოლი გაიტანა.

**სტოკჰოლმი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მონაწილენი — შვეციისა და ნორვეგიის გუნდები. შვედებმა ამ მატჩისთვის მოიწვიეს სხვა ქვეყნებში მოთამაშე თავიანთი პროფესიონალი ფეხბურთელები და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0. 3 გოლი გაიტანა კინდვალმა, ხოლო 2 — ლარსონმა.

**სტამბოლი.** აქ ამხანაგური მატჩი გამართეს ერთმანეთთან თურქეთისა და ბულგარეთის ნაკრებმა გუნდებმა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ბულგარელებმა.

**ბუქარესტი.** ფრედ — 1:1 დამთავრდა რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

საკდესი, 10 ოქტომბერი.

## დროულად, გონივრულად




თბილისის სპორტის სასახლე. 10 ოქტომბერი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — ასკ (კიევი) 21:32 (12:16).

„ბურევესტნიკი". აბაიშვილი, გაზდელიანი, ცერცვაძე (გაიტანა 7 გოლი), ფხაკაძე (4), ნედბაილო (7), სეფიაშვილი, ზარდალიშვილი. ითამაშეს, აგრეთვე, ხუციშვილმა, სხიერელმა (2) და კიკაბიძემ (1).

ასკ. გოროდეცკი, კორუი (3), მალიკი (1), ბრატჩენკო (6), ჩერნიაევი (1), მელნიკი (11), ზახაროვი (6). ითამაშეს, აგრეთვე, ნისკოვმა (2) და რაიცინმა (2).

მსაჯი — საკავშირო კატეგორიის არბიტრი ი. შვაგირევი.

თბილისელები კიეველ ხელბურთელებს ტოლს არ უდებდნენ მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელნი საკავშირო ასპარეზზე კარგი თამაშით ბრწყინავდნენ. და აი, „ბურევესტნიკმა" ფარ-ხმალი დაყარა მეტოქესთან, როცა კიეველთა გუნდში ძველი დიდების აჩრდილიც აღარ ჩანს. ჩვენ ეს კანონზომიერ შედეგად მიგვაჩნია. დიახ, კანონზომიერებად და არა შემთხვევითობად. იმ დროს, როცა თბილისის „ბურევესტნიკს" გაუჭირდა (ვეტერანთა ერთმა ნაწილმა გუნდი დატოვა, სხვა სამუშაოზე გადავიდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. შარაშიძე...), რატომღაც მიმართეს უჩვეულო ექსპერიმენტს: მწვრთნელად დანიშნეს გუნდის მოქმედი მოთამაშე, წლების მანძილზე სსრ კავშირის ნაკრების უცვლელი წევრი ჯ. ცერცვაძე. მთელი ტვირთი ერთ კაცს დააწვა კისერზე. მას უნდა ეთამაშა საკუთარ კოლექტივში და ნაკრებში, ეხელმძღვანელა გუნდის მზადებისთვის, მასვე უნდა გადაეწყვიტა ბევრი ორგანიზაციული საკითხი და სხვ. ამას დავუმატოთ, რომ ცერცვაძემ იკისრა მისთვის უჩვეულო — გამთამაშებლის ფუნქციაც. შედეგმაც არ დააყოვნა: თბილისის „ბურევესტნიკი", რომელიც სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში მუდამ საპრიზო ადგილზე იყო, ახლა ჩამორჩა. ისმის კითხვა: ხომ არ იყო ეს დათვური სამსახურის გაწევა საქვეყნოდ ცნობილი მოთამაშისთვის?

ჩანს, შესაბამისი დასკვნების გამოტანაა საჭირო და რაც უფრო დროულად და გონივრულად მოვკიდებთ ხელს საქმეს, მით უკეთესი. ცხადია, თბილისის „ბურევესტნიკი" ახალბედათა კოლექტივი არაა და სწორედ ამიტომ სჭირდება მას ისეთი მწვრთნელი, რომელსაც მხოლოდ ერთი — მწვრთნელის მოვალეობა ექნება დაკისრებული. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპორტული ღირსება ხელბურთშიც უნდა დავიცვათ.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ჟალგირისი" (კაუნასი) 29:28 (11:11).

საავიაციო ინსტიტუტი. სეგალი, რუსაკოვი (4), ეფიმოვი (2), კლიმოვი (4), ზოტოვი (1), ჟურავლიოვი (5), კოჟუხოვი (1). ითამაშეს, აგრეთვე, მახორინმა (8), ალფეროვმა და ოგანეზოვმა (4).

„ჟალგირისი". ჟიობა, პაიპალასი (4), პეტრენასი (1), არჟოლაიტისი (8), გრიშკიავიჩუსი (1), ეიზიტავიჩუსი (1), პოდბერიცკისი (6). ითამაშეს, აგრეთვე, ბენკაუსკასმა, კოვავჩუსკასმა (7) და პახვენსკასმა.

მსაჯი — საკავშირო კატეგორიის არბიტრი თ. ჩხარტიშვილი.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონობა გაინაღდეს, მოსკოველები მატჩებს დაუძაბავად ატარებენ. ისინი მხოლოდ თამაშის ბოლოს ამჟღავნებენ ნამდვილ ძალას. ასე იყო ახლაც, როცა მოსკოველებმა მხოლოდ მატჩის დასასრულს დაიწყეს ჩვეული სიძლიერით თამაში და შეხვედრა გამარჯვებისთვის საკმარისი 1 ქულით მოიგეს.

„ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) — „დაუგავა" (რიგა) 19:25 (8:11).

„ბურევესტნიკი". პიანკოვი, შიიანი (1), ისაევი, ნაკონეჩნი, მაქსიმოვი (8), პანოვი (2), ბეზუგლოვი (2). ითამაშეს, აგრეთვე, დოლგიმ (1), გრინბერგმა (4) და ზუბარევმა (1).

„დაუგავა". ვილსონსი, ინდუსი (2), იუბელი (2), როზენტალსი (9), კალნინში (2), ა. გულბისი (5), მ. გულბისი (3). ითამაშეს, აგრეთვე, პრიედნიკსმა (2), სპრინგისმა, ვილიუმსონმა და ეგიტისმა.

მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვ. კოვალიოვი.

ამ დღეს ძალიან სუსტად ითამაშა კრასნოდარელთა ლიდერმა მაქსიმოვმა. რიგელებმაც იხელთეს და III საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი დაამარცხეს.

„ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „კუნცევო" (მოსკოვი) 27:25 (14:10).

„ალუმინსტროი". ცაპენკო, შატილოვი (2), ზელენოვი (6), გორიაჩიხი (4), რეზნიკოვი (3), პოპადჩუკი (4), ზემლიანოი (3). ითამაშა ივანოვმაც (5).

„კუნცევო". სემიონოვი, სოლომკო (2), აფანასიევი (4), ლუცენკო (3), მიხალიოვი (7), ვასილიევი (5), სტოლიაროვი (3). ითამაშა ლებედევმაც (1).

მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი ი. კიზილიუსი.

ძნელია იმის დამტკიცება, რომ „კუნცევომ" „ჯენტლმენური" (სპორტში ამას არასპორტულ საქციელს უწოდებენ) სვლა გააკეთა და „ალუმინსტროის" დაუთმო თამაში. მაგრამ ამ გუნდების შეხვედრამ მართლაც ასეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა. ჩვენ გვახსოვს ამავე გუნდების მატჩი კიევში გამართულ წინა ჩემპიონატში. იქ იგივე ამბავი მოხდა, ოღონდ მაშინ დამთმობების როლში ზაპოროჟიელები გამოვიდნენ. „ვალი" ხომ არ გადაიხადა „კუნცევომ"?.

ჯ. ენუქიძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტული აფიშა

**მძლეოსნობა.** „დინამოს" სტადიონი. **12-13 ოქტომბერი.** თბილისის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების პირადგუნდური პირველობა. დასაწყისი: შაბათს — 17 ს. 30 წ., კვირას — 11 ს.

**კალათბურთი.** ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. **13-16 ოქტომბერი. საქართველოს პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის.** დასკვნითი ტური. მონაწილეობენ: ქალები — უნივერსიტეტი, სპორტკლუბი „უშბა", ფიზკულტურის ინსტიტუტი, „შრომითი რეზერვები", განათლების განყოფილება (ყველა — თბილისი) და აფხაზეთის ნაკრები; ვაჟები—უნივერსიტეტი, „სპარტაკი", „დინამო", სპორტკლუბი „ცისარტყელა" (ყველა — თბილისი), აფხაზეთისა და ქუთაისის ნაკრები გუნდები. დასაწყისი: ყოველდღე 13 ს.